



სუდანის ჯგუფის საღებავებით დაბინძურებული სხვადასხვა კატეგორიის სურსათის  
მოხმარებით განპირობებული რისკის შეფასების საფუძველზე შემუშავებული


### რისკის მინიმიზირების რეკომენდაციები

1. სურსათის წარმოებაში სუდანის ჯგუფის საღებავების კანონსაწინააღმდეგო გამოყენების ფაქტების გამოსავლენად არსებული, საგანგებო (დროებითი) ზომები გაგრძელდეს რისკის მართვის ღონისძიებებში;
2. „სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის“ პროგრამაში მიზანშეწონილია დაზუსტდეს სუდანის ჯგუფის საღებავებზე ლაბორატორიულ ტესტირებას დაქვემდებარებული სურსათის სახეობები და ნიმუშის აღების სასურსათო ჯაჭვის ეტაპები;
3. სურსათის უვნებლობის სასაზღვრო კონტროლს დაექვემდებაროს სუდანის ჯგუფის საღებავების გამოყენების მიმართ მაღალი რისკის ქვეყნებიდან შემოსული საფრთხის შემცველი სურსათის სახეობები. ქვეყანაში არსებული ლაბორატორიული შესაძლებლობების ფარგლებში, ლაბორატორიული ტესტირების სიხშირის განსაზღვრა განხორციელდეს რისკის პარამეტრების გათვალისწინებით;
4. ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სუდანის ჯგუფის საღებავებზე ლაბორატორიულ ტესტირებას დაქვემდებარებულ, დაზუსტებულ სურსათის კატეგორიების კვლევას დაემატოს ტესტირება აკრძალულ აზოსაღებავის - „ტოლუიდინის წითელის“ შემცველობაზე;
5. რეკომენდირებულია სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიამ აითვისოს და დანერგოს აზოსაღებავების (მ.შ. „ტოლუიდინის წითელი“) შემცველობაზე სურსათის და ცხოველის საკვების კვლევის მეთოდები და გაიაროს აკრედიტაციის შესაბამისი პროცედურები;
6. რისკის შეფასების მიზნით, სურსათში არსებული საფრთხეების მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებულ ლაბორატორიული ტესტირების ოქმებში მიეთითოს ინფორმაცია კვლევის მეთოდზე, საკვლევი ნივთიერების/აგენტის დეტექციისა და რაოდენობის დადგენის ზღვრებზე (LOD, LOQ). აგრეთვე, სხვა მეთოდისა და აპარატურისთვის სპეციფიური მახასიათებლებზე;

7. ფრინველის კვერცხში საღებავების შესაძლო არსებობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია განხორციელდეს ცხოველის საკვებში (ფრინველი) სუდანის ჯგუფის საღებავების ლაბორატორიული ტესტირება;
8. სურსათში არსებულ საფრთხეებზე დაბალი განუსაზღვრელობითა და სანდოობის მაღალი დონით რისკის შეფასებებისთვის უპირობოდ მნიშვნელოვანია ეროვნული ფაქტიური კვების კვლევის განხორციელება.

მანია მეტრეველი - საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი

რისკის შეფასების სამსახურის უფროსი

----- 

ზურაბ ქუჩუკაშვილი - ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

რისკის შეფასების სამეცნიერო ჯგუფის კოორდინატორი

----- 